განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, მშენებლობისათვის გაცემული სპეციალური (ზონალური) შეთანხმებაზე მოსაკრებლის განაკვეთის ანგარიშზე

მოგახსენებთ, რომ 2013 წლის 25 სექტემბერს თქვენ მიერ გაცემული იქნა ბრძანება N916748, სარეგისტრაციო წარმოება AR1155364 რომლის თანახმადაც შეთანხმდა მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით შპს ,,ჭავჭავაძის 33''-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01,14,14,005,116 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი და გაიცა მშენებლობიუს ნებართვა) ასევე მხარეს დაევალა წარმოდგენილი ზონალური მოსაკრებლის გადახდა წარმოდგენილი გრაფიკის შესაბამისად.

წარმოდგენილ გრაფიკში დაშვებული იქნა შეცდომა, კერძოდ ფორმულის გამოთვლის დროს საწყის ზონალურ კოეფიციენტად K^2 აღებული იქნა 2,2 თანახმად 2003 წლის 27 ივნისის N20/423 ბრძანებისა, რაც დაუშვებელი იყო ვინაიდან ეს კოეფიციენტი განსაზღვრული იყო. აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული კოეფიციენტი განისაზღვრა 4,0 თანახმად თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2006 წლის 24 ნოემბრის ბრძანება N20/1016 -ით. ასევე ამავე ბრძანებით გაუქმებულად ჩაითვალა აქტი კერძოდ 2003 წლის 27 ივნისის N20/423 ბრძანება რომლითაც K^2 განსაზღვრული იყო 2,2. აღნიშნულმა უზუსტობამ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა ვინაიდან მოსაკრებელი გამოთვლილია გაუქმებული აქტით რაც თავისთავად იწვევს თანამდევი შედეგის გაუქმებასაც.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შვიდეს ცვლილება 2013 წლის 25 სექტემბერს თქვენ მიერ გაცემულ ბრძანება N916748 მე-4 პუნქტში და მოსაკრებელი განისაზღვროს მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად და ოდენობით.

ზონალური მოსაკრებლის ანგარიში :

340/4(8-4-0,8)*1817=494224 ლარი

213/4(8-4-0,8)*2948=286783 ლარი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 184

„ 15 „ სექტემბერი 2006 წ.

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით ამხანაგობა „ყიფშიძე 2"-ის მიერ მრავალსართულიანი სახლის ასაშენებლად განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის გადამეტების მიზნით სპეციალური ნებართვის გაცემის შესახებ

„ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №S-13 გადაწყვეტილების, ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს 2006 წლის 6 სექტემბრის №08-06 ოქმისა და „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

1. ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით ამხანაგობა „ყიფშიძე 2"-ის მიერ მრავალსართულიანი სახლის ასაშენებლად, ამ ტერიტორიისათვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) განსაზღვრული მაჩვენებლის გადამეტების მიზნით გაიცეს სპეციალური ნებართვა და განისაზღვროს – კ2 – 4.0;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსს ნ. ჩხაიძეს.

გ. უგულავა

ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია * ეროვნული ბიბლიოთეკა
საქმის
ნაბეჭდის
სამსახური

108 23 09 6

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

მშენებლობის სანებართვო მოწმობა № 6/1513-1

ნებართვის გაცემის თარიღი „07" 10 2008 წ.

მშენებლობის დაწყების თარიღი 10 ოქტომბრიდან 2008 წ.

ნებართვა ძალაშია 10 დეკემბრამდე 2011 წ.

დამკვეთი ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ყიფშიძე-2"

(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით

(მისამართი / ადგილმდებარეობა)

სარეგისტრაციო №29766/2006, საკადასტრო № 1/ 14/ 14/ 5/116)

(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 20/1016, 24.11.06წ.

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)

(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 6/1513 07.10 2008 წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი:

მ. ავალიანი

(ხასელი, გვარი)

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ (ჟ. შარტავას ქ. №7)

ბ. ა.

(თანამდებობა)

შემსრ: ნ.რაზმაძე

07.10.08

№ა რ/1141
06.10.06წ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №20/0016

„24“ 11 ---------- 2006წ. ქ. თბილისი

შინაარსი: ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ყიფშიძე-2“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

დამკვეთი – ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ყიფშიძე-2“.
საპროექტო ორგანიზაცია – ი/მ „ყიფშიძე-2“.
არქიტექტორი – გ. ყიფიანი.

საფუძველი: - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №29766/2006; საკადასტრო №1/14/14/5/116);
- ქალაქმშენებლობითი პირობები №ჭ-63, 02.10.06წ.

მიწის ნაკვეთის ფართი – 3 500.0 მ²
მოშენების ფართი – 1 281.00 მ²
საერთო საცხოვრებელი ფართი (აივნების გარეშე) – 10 312.80 მ²
აივნების ფართი – 1 339.00 მ²
საოფისე ფართი – 882.30 მ²
საერთო სარგებლობის ფართი – 697.10 მ²
ავტოსადგომების ფართი – 3 218.10 მ²
ტექნიკური სართულების ფართი – 1 256.90 მ²
ბინების რაოდენობა – 76 ბინა

09.06.10

შეთანხმდეს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ყიფშიძე-2“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

ამ ბრძანებით გაუქმებულად ჩაითვალოს ქ. თბილისის მთ. არქიტექტორის 27.06.03წ №20/423 ბრძანება.

სამშენებლო სამუშაოები დაწყებული იქნეს მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებული იქნეს ექსპლუატაციაში.

წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მთავრობაში (მის: თავისუფლების ქუჩა №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: სარაჯიშვილის ქ. №1) 1 თვის ვადაში.

სამსახურის უფროსის მ.შ. გ. ბახათაძე